



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№179 2018 წლის 25 იანვარი ქ. თბილისი

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის
საჭიროებებზე რეაგირების მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების
შესახებ

1. ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოს 2 374 600 (ორი მილიონ სამას სამოცდათოთხმეტი ათას ექვსასი) ლარი, მათ შორის:

ა) იმ ოჯახებისათვის, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან ბუნებრივი აირის აბონენტებად, თითოეულ აბონენტზე 200 (ორასი) ლარის დარიცხვის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გამოყოს 2 358 200 (ორი მილიონ სამას ორმოცდათვრამეტი ათას ორასი) ლარი;

ბ) იმ ოჯახებისათვის, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი ბუნებრივი აირის აბონენტებად, თითოეულ ოჯახზე 200 (ორასი) ლარის გასაცემად, კასპის მუნიციპალიტეტს გამოყოს 16 400 (თექვსმეტი ათას

საქართველოს მთავრობისა და
განკარგულების განხორციელების საინიციატივო
გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოს 2 374 600 (ორი მილიონ სამას სამოცდათოთხმეტი ათას ექვსასი) ლარი, მათ შორის:

ა) იმ ოჯახებისათვის, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან ბუნებრივი აირის აბონენტებად, თითოეულ აბონენტზე 200 (ორასი) ლარის დარიცხვის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გამოყოს 2 358 200 (ორი მილიონ სამას ორმოცდათვრამეტი ათას ორასი) ლარი;

ბ) იმ ოჯახებისათვის, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი ბუნებრივი აირის აბონენტებად, თითოეულ ოჯახზე 200 (ორასი) ლარის გასაცემად, კასპის მუნიციპალიტეტს გამოყოს 16 400 (თექვსმეტი ათას

შეამოწმოს № 1492/05
29 01 2018წ.
2 შარვალი

ოთხასი) ლარი.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით:

ა) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უზრუნველყოს დარეგისტრირებული ბუნებრივი აირის აბონენტების სიების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის მიწოდება;

ბ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვიციანი